


საცალო გაყიდვის პარამეტრები

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია საცალო გაყიდვის ოპერაციის შესრულება. იმისათვის რომ შეასრულოთ საცალო გაყიდვის ოპერაცია აუცილებელია პირველ რიგში შეავსოთ საცალო გაყიდვის პარამეტრები.

მენეჯერული ოპერაცია/პარამეტრები/საცალო გაყიდვა/საცალო გაყიდვის პარამეტრები:



სისტემის პარამეტრები

ლილაკბე დაჭერით „გახვალთ სისტემის პარამეტრების ეკრანზე, სადაც მოცემულია მიწოდების ოპერაციის შესასრულებლად საჭირო საბუღალტრო ანგარიშები. საცალო გაყიდვის ოპერაცია ემატება მიწოდების ოპერაციების ეკრანში და იყენებს მიწოდების ოპერაციის საბუღალტრო ანგარიშებს.

მთავარი	სხვა პარამეტრები
[-] მიწოდების ოპერაციები	
- მშობელი ანგარიში მყიდველისთვის	1410
- შემოსავლების ანგარიში მიწოდებისას	6110 1
- შემოსავლების ანგარიში რულოვანი დღე მიწოდებისას	6110 2
- შემოსავლების ანგარიში დაუბეგრავი მიწოდებისას	6110 3
- ხარჯის ანგარიში უსასყიდლოდ მიწოდებისას	9200
- ხარჯის ანგარიში საგნის ჩამოწერისთვის	7210
- გადასახდელი დღე-ს ანგარიში	3330
- გადასახდელი აქციზის ანგარიში	3350
- ხარჯის ანგარიში ძირითადი საშუალების ჩამოწერისთვის	8290

შეგიძლიათ შეცვალოთ მითითებული ანგარიშები. დახურეთ ეკრანი.

თუ მონიშნავთ მოსანიშნს „შემდეგ გვერდზე ვნახოთ ის საგნები (პროდუქცია), რომელთა რეალიზაციისას სისტემა ჩამოწერს შესაბამის მასალებს“ და დააჭერთ ლილაკს „შემდეგ“, იხილავთ ეკრანს:

მაკროსი (საცალო გაყიდვის პარამეტრები)


მონიშნეთ ის საგნები (პროდუქცია), რომელთა რეალიზაციისას სისტემა ჩამოწერს შესაბამის მასალებს. მასალების რაოდენობა და კავშირი პროდუქციასთან უნდა იყოს აღწერილი [წარმოება]-[დიზაინი]-ში.




საგნები


პროდუქცია საცალო გაყიდვისათვის	კოდი	დასახელება	ერთეული	სააღრიცხვო მშობელი ანგარიში	გაყიდვის ფასი
<input checked="" type="checkbox"/>	001	საქონელი1	ცალი	1610	
<input type="checkbox"/>	002	მომსახურება	მომსახურება	7455	
<input type="checkbox"/>	004	საქონელი2	ცალი	1610	
<input type="checkbox"/>	5	ტრანსპორტირების ხარჯი	მომსახურება	7490	
<input type="checkbox"/>	005	საქონელი3	ცალი	1610	
<input type="checkbox"/>	006	კომპიუტერული მომსახურება	მომსახურება	7445	

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწყვიტოთ


ეკრანზე მოცემულია საგნების სიაში არსებული საგნები,თუ გსურთ რომ საცალო გაყიდვისას ავტომატურად ჩამოიწეროს შესაბამისი პროდუქციის შესაბამისი მასალები, უნდა შექმნათ წარმოებაში თითოეული პროდუქციისათვის დიზაინი და მოცემულ ეკრანში უნდა მონიშნოთ ყველა იმ პროდუქციის გასწვრივ ველი „პროდუქცია საცალო გაყიდვისათვის“. ამ შემთხვევაში ყველაფერი დატოვებთ უცვლელად და დააჭირებთ ღილაკს „წინ“,რათა დაბრუნდეთ საცალო გაყიდვის პარამეტრების ეკრანზე.გადანიშნეთ ველი „შემდეგ გვერდზე ვნახოთ ის საგნები (პროდუქცია),რომელთა რეალიზაციისას სისტემა ჩამოწერს შესაბამის მასალებს“.

ეკრანში „მიუთითეთ ტერმინალის ანგარიშები ბანკების მიხედვით უნაღლო ანგარიშსწორებისთვის“. მოცემულ ეკრანში შეგიძლიათ დაამატოთ იმდენი ტერმინალი რამდენიც გაქვთ შესაბამისი ანგარიშებით. ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დაანკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.

	ჩანაწერის დამატება	Ins
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del

ველში „ბანკის კოდი“ მიუთითეთ კოდი აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) გახვალთ ბანკების ჩამონათვალებზე მოძებნეთ სასურველი ბანკი და დააჭირებთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველი „ბანკი“ ბანკის დასახელებით ავტომატურად შეივსება.

ველში „ტერმინალის ანგარიში“ მიუთითეთ საბუღალტრო ანგარიში აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) გახვალთ ანგარიშების ეკრანზე,მოძებნეთ სასურველი ანგარიში თუ არ არის დაამატეთ. და დააჭირებთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველი „ანგარიშის დასახელება“ ავტომატურად შეივსება.

ველში „კომენტარი“ მიუთითეთ კომენტარი ან აირჩიეთ სასურველი კომენტარი სიიდან.

ეკრანი „მიუთითეთ მოლარის პარამეტრები“ შეავსეთ დაკვირვებით ამ პარამეტრებით სრულდება საცალო გაყიდვის ოპერაცია.

ველში „მოლარე“ მითითებულია სისტემის მომხმარებელი. მოლარის დამატება შეგიძლიათ, ეკრანში „ადმინისტრირება/მომხმარებლები“. ამ შემთხვევაში სისტემას ყავს ორი მომხმარებელი „sa“ და „ოპერატორი1“.

დადექით ჩანანერზე „ოპერატორი 1“ და შეავსეთ ველები შესაბამისი ინფორმაციით.

ველში „სალაროს ანგარიში“ მიუთითეთ სალაროს ანგარიში. აღნიშნულ ველზე ლილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) გახვალთ ანგარიშების ეკრანზე, მოძებნეთ სასურველი ანგარიში თუ არ არის დაამატეთ. და დააჭირეთ ლილაკს „ავირჩიოთ“.

ველში „დებიტორ/კრედიტორის კოდი საცალო გაყიდვისათვის“ მიუთითეთ ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია ანგარიში. აღნიშნულ ველზე ლილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) გახვალთ დებიტორ /კრედიტორების ეკრანზე, მოძებნეთ სასურველი ჩანანერი თუ არ არის დაამატეთ. და დააჭირეთ ლილაკს „ავირჩიოთ“.

ველში „ღირებულების ცენტრი“ მიუთითეთ ის ღირებულების ცენტრი (საწყობი) საიდანაც გასურთ საქონლის რეალიზაცია.

ველი „ავირჩიოთ საგანი კოდით“ მონიშნეთ თუ საქონელი საცალო გაყიდვის ოპერაციაში უნდა აირჩიოს შტრიხკოდის წამკითხავი სკანერით. ამ შემთხვევაში მონიშნეთ .ოპერაციაში კოდი შეგიძლიათ ხელითაც აკრიფოთ.

ველი „დავუშვათ ფასის კორექტირება“ მონიშნეთ იმ შემთხვევაში თუ ოპერატორს გაყიდვის ფასის კორექტირების უფლებას აძლევთ. სისტემა გაყიდვის ფასს ოპერაციაში საქონელს მიუთითებს , საგნების ეკრანში განსაზღვრული გაყიდვის ფასიდან. ამ შემთხვევაში მონიშნეთ.

ველი „ვაჩვენოთ კომენტარი“ მონიშნეთ თუ გასურთ ,საცალო გაყიდვის ეკრანზე გამოჩნდეს კომენტარის ველი.

თუ გასურთ , რომ საცალო გაყიდვის ოპერაციიდან ოპერატორმა შეძლოს ზედნადების ატვირთვა მონიშნეთ ველი „დავუშვათ ზედნადების ატვირთვა“.

თუ გასურთ საგანი აირჩიოს დასახელებით მონიშნეთ ველი „ავირჩიოთ საგანი დასახელებით“.

ველი „დავბეჭდოთ ჩეკი“ მონიშნეთ თუ გასურთ საცალო გაყიდვის ოპერაციის შენახვისას დაიბეჭდოს ჩეკი ავტომატურად.

ველი „ვაჩვენოთ ჩეკი“ მონიშნეთ თუ გასურთ ეკრანზე დაინახოთ ჩეკი და მერე დაბეჭდოთ.

ველი „ვაჩვენოთ ოპერაციის თარიღი“ მონიშნეთ თუ გასურთ საცალო გაყიდვის ოპერაციის ეკრანზე დაინახოთ, ოპერაციის თარიღი.

ველი „კურსორი გადავიტანოთ რაოდენობის ველზე“ მონიშნეთ თუ კოდის არჩევის შემდეგ გინდათ კურსორი გადავიდეს რაოდენობის ველზე. ამ შემთხვევაში მონიშნეთ.

მაკროსი (საცალო გაყიდვის პარამეტრები)

საცალო გაყიდვის მაკროსი იყენებს მიწოდების ოპერაციების ანგარიშებს, რომლებიც შენახულია [სისტემის პარამეტრები]-[სხვა პარამეტრები]-[მიწოდების ოპერაციები] !

სისტემის პარამეტრები

შემდეგ გაერღვა ვნებით ის საგნები (პროდუქტები), რომელთა რეალზაციისას სისტემმა ჩამოწერს შესაბამის მასალებს.

მიუთითეთ ტერმინალის ანგარიშები ბანკების მიხედვით უნაღლო ანგარიშსწორებისთვის

ბანკის კოდი	ბანკი	ტერმინალის ანგარიში	ანგარიშის დასახელება	კომენტარი
BAGAGE22	საქართველოს ბანკი	1290 1	საქართველოს ბანკის ტერმინალი	

მიუთითეთ მოლარის პარამეტრები

მოლარე	განყოფილება	სალაროს ანგარიში	უნაღლოს ანგარიში	დებიტორ/კოდი საცალო გაყიდვის	ლირებული ცენტრი	ავირჩიოს საგანი კოდით	დაუშვავთ ფასის კორექტირა	ვარგუნობა კომენტარ	დაუშვავთ ზედნაღდების ატვირთვა	ავირჩიოთ საგანი დასახელებით	დავებჭდობთ ჩევი	ვარგუნობა ჩევი	ვარგუნობა ოპერაცი თარიღი	კურსორი გადავტანოთ რაოდენობის ველზე
sa	ადმინისტრატო...				საწყობი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ოპერატორი1	მაღაზია	1110	1290 1	5	საწყობი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

<< წინ შემდეგ >> დასასრული შეეწყვიტოთ

დააჭირეთ ღილაკს „შემდეგ“ და „დასასრული.“